



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეცხვარეობა

მეცხვარეობა, მეცხოველეობის დარგი, რომლის ამოცანაა ცხვრის მოშენება ძვირფასი ნედლეულისა (მატყლი, მაჟდაკი, ტყავი) და საკვები პროდუქტების (ხორცი, რძე, ქონი) მისაღებად. მატყლისაგან მზადდება მაღალხარისხოვანი ქსოვილი, ნოხი, ნაბადი, ქეჩა; ხალიჩა ცხვრის ტყავისაგან – ქურქი, ბენჯეული; რძისაგან – მაღალი ხარისხის ყველი (თუშური, როქვორი, პიკარინო, ბრინზა). მ. არსებობს პრეისტორიული ხანიდან, როდესაც ადამიანმა გამოიყენა მოშინაურებული ცხვრის პოდუქტები. შინაური ცხვრის წინაპარს (გარეულ ცხვარს) მატყლი არ ჰქონდა. მსოფლიოში გავრცელებული 500-ზე მეტი ცხვრის ჯიშიდან მხოლოდ 43-ს აქვს მატყლი. შერჩევის გზით უმატყლო ცხვრისაგან მიიღეს უხეშმატყლიანი ცხვარი; ახალ წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე მცირე აზიაში გამოიყვანეს წმინდა და ნახევრად წმინდამატყლიანი ცხვარი, შუა აზიაში ხალხ. სელექციით შექმნეს ადრემწიფადი ცხვრის ერთგვაროვანმატყლიანი ჯიშები, რამაც საფუძველი ჩაუყარა ნახევრად წმინდამატყლიან (ნაზმატყლიანი) სახორცე-სამატყლე მ-ს. არჩევენ წმინდამატყლიან, ნახევრად წმინდამატყლიან, ნახევრად უხეშმატყლიან და უხეშმატყლიან მიმართულებებს, მათში განასხვავებენ სახორცე-სამატყლე, სამატყლე-სამაჟდაკე, სამატყლე-საქურქე, სამატყლე-სახორცე-სარძეო მ-ს. დარგი განვითარებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში (ავსტრალია, არგენტინა, ახალი ზელანდია, ურუგვაი, აშშ, სამხრ. აფრიკა და სხვ.).

საქართველოში მ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო განვითარებული, ძირითადად ბაფხულის ან ზამთრის საძოვრების ზონებში. ბუნებრივი სავარგულების რაციონალური გამოყენების შესაბამისად, ძველთაგანვე ჩამოყალიბდა 3 სისტემა: სამრეწვ.-მომთაბარე, სამრეწვ.-სტაციონარული და სამომხმარებლო-საკარმიდამო. პირველი გავრცელებულია თუშეთში, კახეთში, ხევსურეთში, მთიულეთში, ქართლში; მეორე – მეცხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში; მესამე – ძირითადად დას. საქართველოში. ქართ. მჭლეკუდიანი ცხვრის შეჯვარებით

ვოლოშური ტიპისა და ყაბარდოულ დუმიან ჯიშებთან ხალხური სელექციით შეიქმნა *თუშური ცხვარი* (XIII-XIV სს.), რ-მაც გავლენა მოახდინა ამიერკავკ. და ჩრდ. კავკ. ცხვრის ჯიშებზე. დას. საქართველოში, ძვ. კოლხური ნაზმატყლიანი ცხვრისგან, ამავე ხერხით შეიქმნა მალმწიფადი და უნიკალური გენერაციული ფუნქციის მქონე ნახევრად უხეშმატყლიანი *იმერული ცხვარი*.

საქართველოში მ-ს ექსტენსიური ხასიათი ჰქონდა და შემოსავალი დამოკიდებული იყო ამინდზე (გვალვა, ნესტი, ყინვა). წლების განმავლობაში დიდ შემოსავალს ზარალი ენაცვლებოდა. 1934 დაიწყო ადგილ. ცხვრის მასობრივი მეტიზაცია წმინდამატყლიანი ჯიშებით. ჩამოყალიბდა თუშური და იმერული ცხვრის სახელმწ. ჯიშთსაშენები, სანაშენე მეურნეობები და ფერმები, ფარეხები, მომზადდა სადაზღვევო საკვები ზამთარში სულადობის გამოსაკვებად. 1931-49 უდაბნოს მეურნეობაში თუშური ცხვრის შეჯვარებით რამბულიესა და პრეკოსის ჯიშებთან და ნაჯვარ სულადობასთან მიზანმიმართული სასელექციო მუშაობით, ა. *ნატროშვილმა* გამოიყვანა ქართ. ნახევრად ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვარი, ხოლო 1938-59 ელდარის მეურნეობაში, ი. ბაძოშვილმა საბჭ. მერინოსისა და კავკასიურ ჯიშებთან თუშური ცხვრის შეჯვარებით - ქართული ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვარი.

საქართველოში მ-ის დარგში სამეცნ.-კვლ. მუშაობა მიმდინარეობდა საქართვე. ზოოტექნ.-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტსა და საქართვე. მეცნ. აკად. ზოოლ. ინ-ტის მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამალღების ბიოლ. საფუძვლების ლაბორატორიაში.

ჩვენში ყველაზე მეტი რაოდენობით ცხვარი აღრიცხულია 1951 (2,571 მლნ); გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აღინიშნება სულადობის კლება. 2020 აღრიცხულია 896,2 ათ. სული, მ. შ. 655,3 ათ. ნერბი. ცხვრების ძირითადი მასა (81,6%) თავმოყრილია კახეთისა და ქვემო ქართლის მხარეში. აღმ. საქართველოს ბარისა და კავკასიონის ქედის სამხრ. ფერდობზე ძირითადად აშენებენ თუშურ ცხვარს, მცირე კავკასიონის ზონაში - ნაზმატყლიან და ნახევრად ნაზმატყლიან ჯიშებთან ნაჯვარებს, ხოლო დას. საქართველოში - იმერულ ცხვარსა და მის ნაჯვარებს. მატყლის საერთო წარმოებითა და 1 სულის საშ. ნაპარსით საუკეთესო შედეგი (6,2-6,3 ათ. ტ, 3,1-3,8 კგ) მიღწეულია XX ს. 80-იან წლებში; 2020 წარმოებულია 1,9 ათ. ტ მატყლი, საშ. ნაპარსი - 2,2 კგ. სოფლის მეურნეობის სამეცნ.-კვლ. ცენტრში შექმნილია იმერული ცხვრის საკოლექციო ფარა, დაწყებულია ქართ. ნახევრად ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი და ნაზმატყლიან-ცხიმკუდიანი ცხვრების აღდგენითი სამუშაოები. ზუსტდება პროდუქტიულობის სტანდარტები და გათვალისწინებულია სანაშენე მუშაობის ქსელისა და გენეტიკური ბანკის დაარსება.

ცხვრის სულადობა და მატყლის წარმოება საქართველოში

წლები	სულადობა ათ. სული	წარმოებულია	მ
სულ, ათ. ტ	1 სულზე, კგ.		
1913	1766,2	3,4	1
1950	2458,1	4,4	1
1980	2043,8	6,3	3
1990	1618,1	6,2	3

2000

627,6

1,9

3

2010

596,8

1,7

2

2020

896,2

1,9

2

მატყლზე მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების შემცირების კვალობაზე გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ცხვრის სულადობა და მატყლის წარმოება შემცირდა (შესაბამისად, 18,5 და 32,2%-ით). შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ფერმერებმა ორიენტაცია აიღეს მეხორცულ-სამატყლო მეცხვარეობის განვითარებაზე და უკვე 2020-თვის ცხვრის სულადობა გაიზარდა 56,8%-ით, ხორცის წარმოება კი - 66,5%-ით; მატყლის წარმოებაში აღინიშნება შემცირების ტენდენცია (საშუალოდ 1%-ით). ყველაზე დიდი რაოდენობის ცხვარი ჰყავთ ჩინეთში (161,4 მლნ.), შემდეგ კი - ავსტრალიაში, ინდოეთში, დიდ ბრიტანეთში, სუდანსა და ირანში.

ლიტ.: პ ა ი კ ი ძ ე თ., მეცხვარეობა, თბ., 2007; Р ч е у л и ш в и л и М. Д., Отгонное овцеводство Грузии и пути его улучшения, Тб., 1957.

მ. რჩეულიშვილი

გ. გოგოლი

თ. პაიკიძე
